ანტიკორუფციული ბიურო

განკარგულება

№ 00014691

22/10/2024

№07-01/016

მამუკა გუგეშაშვილისათვის ჯარიმის დაკისრების შესახებ

„კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-5 პუნქტის, მე-20 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების საფუძველზე:

1. კანონით განსაზღვრულ ვადაში საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატის მიერ თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარუდგენლობისთვის მამუკა გუგეშაშვილი დაჯარიმდეს 1000 (ერთი ათასი) ლარით;

1.1. ჯარიმის გადახდა განხორციელდეს განკარგულების ოფიციალური გაცნობიდან არაუგვიანეს 30 დღის ვადაში. ჯარიმა გადახდილად ჩაითვლება გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის სსიპ - ანტიკორუფციული ბიუროსთვის წარდგენის მომენტიდან;

2. ჯარიმა გადახდილ უნდა იქნეს ხაზინის ერთიან ანგარიშზე (200122900); ბანკის კოდი TRESGE22; ბიუჯეტის შემოსავლის სახაზინო კოდი: 302003270 (შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები));

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

0114 თბილისი, ინგოროყვას ქ.N7
info@acb.gov.ge

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რაჟდენ კუპრაშვილი
ანტიკორუფციული ბიუროს უფროსი